

# ივერია

გარემონტირებული კოლეგიას მიერაცხვა  
კონფიდენციალური გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne  
„IVERIA“

Directeur E. PATARIDZE.

Rédacteur S. TCHIRAKADZE.

გ ა ი ს ი 1973

N° 15

M A I 1973

გ ა ი ს ი ს ი ს ი;

მეთაური.

გ. გადანდაძე

მარქსიზმ-ლენინიზმის ძლიერება და უძლურება ნებ. ჭირაქაძე

«საქართველო ასე როგორ წახდი». გ. ქავთრაძე

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS  
1973



# ივერია

ძალითული ე 6 თ 26 შ ლი პ ლ ლ ი ტ ი პ ი ს თ ს ჩ ა ნ ი.

მ ე რ ი ც ლ უ ლ ი გ ა მ ი ც ხ ე ბ ა.

მ ა ი ს ი 1973 წ ე ლ ი.

№ 15

მ ა ი ს ი 1973 წ ე ლ ი.

1972 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა კავშირში თავისი დაარსების 50-თი წლისთვის იღლესასწაულა. ამ დღეს, ნახევარი საუკუნის წინეთ, საბჭოების საკავშირო ყრილობამ პირველად ერთხმად მიიღო დეკლარაცია და შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური ოცნებლიკების კავშირის შექმნის გადაწყვეტილებაზე. ყრილობაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა ოცნებლიკას 1727 დელეგატი წარმოადგენდა: უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 364 დელეგატი, 91—ამიერკავკასიას, ე. ი. სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს, და 33 დელეგატი ბელარუსის საბჭოთა სოც. ოცნებლიკას. ლენინი ყრილობას არ დასწრებია ავადყოფობის გამო, მაგრამ მან მის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო. მთავარი სიტყვა სტალინმა წარმოსთქვა: მან ბრძანა: «ეს დღე არა მხოლოდ ის დღეაზოგაუნდა, თუ თვალი მოვალეოთ შედევნებს, მაგრამ ამავედროს ის არის ახალი რუსეთის ძეველ რუსეთზე გამარჯვების დღე, რუსეთზე, რომელიც ევროპასა და აზიას ჯალათი იყო»-ო. თუ გასულ 50 წელს გადავხდეთვთ, ჯულაშვილის ეს სიტყვები მწარე ირონიად გაისმის.

იუბილესთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში გრანთობისული საპროპაგანდო კამპანია იყო ჩატარებული. ამ კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს, კვრეწოდებული ლენინის ნაციონალური პოლიტიკა წარმოადგენდა.

\* საპროპაგანდო თეორიების მიხედვით, ლენინის ნაციონალურ პოლიტიკის თანამიმდევრობითი გატარებით, კომუნისტურმა პარტიამ ცარისობული ხალხთა საპურობილეს ნაწილებებზე ააგო სოციალისტური საზოგადოება, სოციალის-

ტურ ერების, შერწყმისა და ძმობის საფუძველზე—ერების, რომლებიც ნებაყოფლობით შემცირდოვდნენ, რუსი ერის— «თანასწორთა შორის პირველის» ირგვლივ საბჭოთა კავშირი—ამტკიცებენ საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტები ნაციონალური საკითხება და მრავალეროვნებიან სახელმწიფოს პრობლემის სოციალისტური გადაწყვეტის ნიმუშად ითვლებათ, რასაკეიირელია, ამ საპროპაგანდო მტკიცების დიდი ნაწილი, საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს ნაკლებად ჯერათ. სინამდვილეში, ამ სანაქებო ნაციონალური პოლიტიკის შედეგებისთვის მეტად შეუფერებელი მომენტია შერჩეული. შეუფერებელი იმიტომ რომ დღეს, მეტად ვიდრე არასოდეს საბჭოთა 'კავშირის ერებს შორის ატებილია ლტოლვა და მოძრაობა ინტეგრაციის წინააღმდეგ აშკარად მიმართული.

მთვლი ეს მოძრაობა რუსიფიკაციისა და დენაციონალიზაციისაკენ არის მიმართული, იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ერების ინტერესებს, იმედებს და გინერაციებს უტიფრად უგულებელყოფენ კენტრალური ხელისუფალნი და მათ მიერ დაყენებული ადგილობრივი ყინილბაშები; მიმართულია ის ნაციონალური კულტურის, ენის შელახვის პრაქტიკის და დრომოწმული უცნაური დეკორაციების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ეროვნებათა ნაციონალურ ლტოლვათა და მისწრაფებებზე ლალადებს სისხლიანი ამბები აიტვავა, 17 ლატვიიდ თომუნისტების მიმართვა დასავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიის მიმართვა დაპატიმრებების ახალი ტალღა უკრაინაში და მრავალი სხვა. რასაკეიირელია, ამ მოვლენის პაპატიკულ შანსების გადაჭარბებით შეფასება უაზრობა იქნებოდა, მოსკოვის მრისხანებისა და სისასტრიკის გამო, მაგრამ ფაქტი ფაქტად ჩემება—ერების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება უტეხია, შეურიგებელი და სიცოცხლისუნარიანი, რომ ამ მისწრაფებათა ტალღა თანდათანობით იხრდება და არ შეიძლება, და რომ ამხელრებული ერები ქედს არ იხრინ. უკრეველია, მოსკოვისათვის ეს აბობოქრებული სტიქიონის ზეირთები ერთ-ერთი მთავარი საზრუნვავია.

ბრეკნევმა 50 წლისთვის საიუბილეო მოხსენებაში ბრაზ. მორეულად და მედიდ ურად განაცხადა: «არ უნდა დაივიწყოთ, რომ ნაციონალური ცრუმორწმუნებანი, ნაციონალური გრძნობების გაზვიადებული თუ გამრუდებული გამოვ-

ლინდა არაჩეულებრივად სიცოცხლისუნარიანი მოყლენაა, რომელიც პოლიტიკურად არასაქმარისად მომწიფებულ ხალხის ფსიქოლოგიაში მაგრაც არის ჩაჯენილი.» ის უტიფრად დაქმუქრა ერებს: «ნაციონალისტურ გადმონაშთებს, გარედან მოხერხებულად აღივებენ ბურჟუაზული სამკაროს პოლიტიკას და პროპაგანდისტები. ნურავინ დაივიწყებს, რომ საბჭოთა კავშირის ერებისა და ხალხთა შემდეგი ჰასლოვება—შეტყმა მძიეტიური პროცესს არის. ე. ი. გარეუვალია. დარმა თავის დებულებას მეტი წონა მისცეს ბრექნევი დენის იშველიებს საიკონდან, არქივიდან ილებს მის სიტყვებს: «ნაციონალიზმის განმტკიცებას პროლეტარიარევითარ შემთხვევაში მხარს არ დაუჭირს, პირიქით, ის მხარს დაუჭირს ყველაფერს, რაც ნაციონალური ჯებორების ძირებს ვეინანად მოთხრას ხელს უწყობსო». ვთქმულობთ, აქ ყვლაფერი გარეუვულია. მოსკოვსა და მის დაპყრობილ ერებს შორის ბუნდოვანი და გაუგებარი არაფერია დარჩენილი. ყველაფერი ცხადია, მაგრამ ეცხადს უცხადებესია ისიც, რომ ერებს ვინმეს გმობა არ სურთ. რაც არუნდა იწერებოდეს დეკლარაციებსა და კონტიტუციებში თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირშე და კავშირიდან თავისუფალ გამოსულაშე ხომ ლაპარაკიც წედმეტია.

ერთად ერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება აქედან გაკეთდეს არის ის რომ, ეგრეშოდებულმა ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა—რომ მისი სრული სიკოტრე უდავო ფაქტია. მისი მარცხის მიხეწები მარხია არა მეთოდებში, რომელსაც სტალინი, ხრუშჩოვი და ბრექნევი მიმართავდნენ და მიმართავენ, არამედ ამ პოლიტიკის დედაარსში. ეს დედაარსი კი პროლეტარული ინტერნაციონალიზმია. ხოლო ეს ეგრეშოდებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელსაც ასე მწვევლად მოსკოვი ეტრიდის დღეს რუსული კომუნიზმია და მისი სახით, რუსული იმპერიალიზმი, რომელსაც უკვე გლეჯს ულმობელი ისტორიის კბილები. წაფილი სამარადისოთ ის დროი, ერმაკ ტიმოფეიჩები თავიანთი კატორდელებით თვალუწვდენელ ციმბირს მოსკოვის მეფეს თავაზობდნენ უმკვიდრებდნენ.

## «ს პ პ ჭ რ თ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ».

საბჭოთა სისტემა არ ეკუთვნის ისეთ სოციალ—პოლი-ტიკურ წყობათა ჯგუფს, რომელიც ხალხთა ცხოვრების ბუ-ნებრივ საფუძველზე აღმოცენდება და ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნებს ემსახურება. ის უფრო თავმოყრილი შმართვე-ლობაა, ვიდრე წარსულ ტროთა აბსოლუტიზმი, დესპოტიზ-მი და ტირანია, სადაც სახელმწიფო ძალაუფლებას ხალხთა ცხოვრების ნწილი ეპურა ხელში. კომუნისტური სახელ-მწიფო მთლიანად დაეპატრონა ცხოვრების პოლიტიკურ. ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებს, ადამიანის ყოველ-გვარ მოქმედებას, მის ლტოლვასა და მისწრაფებას.

ერთ თავის სადღეგრძელოში სტალინმა \*პაწია ხრახნი\* უწოდა საბჭოთა კაგბეტის მოქალაქეს და დიდი მადლობა გამოიუჩადა ამ ხრახნებს ნაცისტებთან ბრძოლაში მონაწი-ლეობისთვის. მთელი ოვა წლის განმაელობაში, სტალინის მიერ ნახმარ სახელმწიფო მანქანის ნაწილაკათ გადაჭცელ ხრახნს, საბჭოთა პრესა საბჭოთა მოქალაქის გენიალურ და სწორ დახასიათებად თვლიდა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფალნი მიხედვნ რომ გადამ-ლაშეს და ადამიანის შეურაცყოფელი «ხრახნი» უფრო მოვერცხლილი ფორმით—«საბჭოთა ადამიანით» შეცვალეს. საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა ადამიანები—ეს სიტყვები მცრა-ლი ბალახით ჩაკვერცული განხეთებსა კურნალებსა, რა-დიო გადაცემებსა და ოფიციალურ გამოსვლებში.

სოციალიზმის მზის ქვეშ, მოგვითხრობენ საბჭოთასაქარ-თველოს კურნალ—განხეთები, ორმოცდათი წლის მანძილზე ცხოვრებისა კომუნისტურმა პარტიამ ადამიანებს ჩაუნერ-გა განსაკუთრებული თვისებები. ეს თვისებებია: უსახლვრო სიყვარული თვალუწვდენელ სოციალისტურ სამშობლო-სადმი; უმაღლესი იდეურობა; სისხლის უკანასკნელ წვეთმ-დე მზად ყოფნა საბჭოთა მიწის ყოველი მტკაველის დასა-ცავად; დევემირული დაუცხრომლობა შრომასა და ბრძო-ლამი; და, დასასრულ, თავისი ძეირდასი კომუნისტური პარ-ტიისადმი კულტურის გამაბრწყინებელი და აღმატროვა-ნებელი სიყვარული, რწმენა და ზღვარულებელი ნდობა პარ-

ტიისადმი და მუდმივ შზალყოფნა მის მოწოდებაზე. ყველაფერმა ამან, რაც ბაქმობიდანვე შეიძრა ადამიანის სისხლსა და ხორცში, შექმნა კომუნიზმის თაობის განსხვავებული საბჭოთა ხსიათით.

რასაკეირჯევლია, ასეთი სულიერი და მორალური პორტეტის ქვენე ადამიანები, მსოფლიოში მყოფ დანარჩენ ადამიანებისაგან განსხვავდებიან. და არა თუ მარტო განსხვავდებიან, არამედ მათ ყოველმასრით აღმარებიან, მათხე უკეთესები არიან. რით? თუნდაც იმით, რომ საბჭოთა ადამიანები კომუნიზმს აშენებენ, ხოლო სხვა ქვეყნების ადამიანებს კომუნიზმის აშენების ასაკამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ.

«გაუმარჯოს თავისუფლების დიდ უარაგზაზე მდგარ საბჭოთა ხალხს, ხალხს კომუნიზმის მშენებელს! «დიდება საბჭოთა ხალხს, ხალხს შემომქმედს, ხალხს კაცობრიობის მომარტის ფუძემდებელს!»

საბჭოთა ადამიანების უპირატესობის ეს ყალბი გრძნობა, სხვა ხალხთა შიმართ, მეტად უტიფარი ცილისწამებით დყივდება ყოველდღიურად საბჭოთა პრესაში, ამერიკაში—რასობრივი დისკრიმინაცია, ინგლისში—ეკონო მიური სინელები. გვრმანიის წყედერატიულ რესპუბლიკაში რევანშისტული ძალების თარები—საბჭოთა კავშირში არ არის არც პირველი, არც მეორე, არც მესამე და სხვა. მაშასადამე, საბჭოთა ადამიანები სხვებზე უკეთესი არიან.

რასაკეირჯევლია, ყველაფერი ეს მითია, შეგრამ რაზი ესაჭიროებათ მოსკოვის მესვეურთ საბჭოთა ადამიანების სხვა ქვეყნების ადამიანებზე ეს უპირატესობის მითი? მხოლოდ იმისთვის, რომ გაამართონ, კომპენსაცია უყონიშ უმწეო, უბატოჟუ, უფერულ და მძიმე პირობებს. რომელშიც ეგრეთ წოდებული საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს. ამ ესამაც საბჭოთა კავშირში, ალბათ, ბალლბაც კი იცის. თუ როგორ ცხოვრობს დასაკულეთში მუშა, რომელიც თავისი ხელფასით კავებავს ოჯახს, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ დღიური მოთხოვნილებით არ არის შემოტარგლული. საბჭოთა კავშირში? აյ სამაგიეროდ «საბჭოთა ადამიანებია» დასაკულეთში არ არსებობს ცენტრის, წერა და ქრიტიკა თავი სუფალია, სამაგიეროდ—«საბჭოთა ხალხი» შემომქმედია; დასაკულეთში ადამიანს, ყოველგვარ დაკითხვებისა და შე-

მოწმებების გარეშე, შეუძლია, როცა მას სურს, წავდეს სახლვარგარეთ, რა უყოთ მერე, სამაგიეროდ «საპერ თა ადა-მიანი» კომუნიზმის მშენებელია.

240 შილიონ ადამიანის საერთო—გვარეობრივი განსახლ-ვრა—ადამიანის პიროვნების დაშლას, ინდივიდუალურ და ეროვნულ სხვადასხვაობის ერთსახერხამდე დაყვანის ემსა-სახურება, რომ ყველა ერთნაირად ფიქრობდეს, აზროვნობ-დეს და განიცილდეს ცას, მიწას, მთებს, ყელებს, ადამიანებს, საგნებს და მოვლენებს, ეს კოლექტივისმია. მაგრამ ულ სხვა ჯიშისა და გვარის კოლექტივისმი, რომლის წევრებია ხელმძღვანელის ბრძანებას სიტყვაშეუძრუნებლად უნდა და-ემორჩილოს.

გასაგებ ენაზე ამნაირ თავყრილობებს ჯლგი ეწრ დება. უფ-რო რბილად რომ გამოვთქათ ბრძო, მაგრამ არაერთი შემ-თხვევაში კოლექტივი. ის რაზედაც ასე ა ულაპარაკე ბო, ოქ-ტომბრის გაფატრიიალებამდე რთხესი წლის წილებ. ფრაგმა დიოდა სატირიკოსმა ფრანსუა რაბლემ მხატვრულად ასახა ეპიზოდი ცხვრის ფარასთან დაკავშირებით. წლების დალვით შეშინებული ცხვრის ფარა გემის ბაქანს აქეთი იქით აწევ-ბოდა და გემს ჩაძირებით ემუქრებოდა. მაშინ მოხერხებულ მა პანურგმა მოისაზრო—როგორ ეხსნა მდგომარეობა ხიცა-თისაგან. მან დაიჭირა ყველაზე დიდი ვაცი და ზღვაში გადა ისროლა. მთელი ფარა თავის წინამდლოლს მიუკა და დარღუ პა. ამის შემდეგ ტერმინს «პანურგოს ფარა» ს დასაცინი სა-ზოგადო სახელი მიერიცა. ას ასეთ პანურგოს ფარად სურთ გართაქმნას კრემლის ბელადებს საბჭრო თა კავშირში ძალით შედენილი ერგები და ეგრეთწოდებული ხრანები, «საბჭოთა ადამიანები». მაგრამ ეს არ მოხდა. «საბჭოთა ადამიანების» მონილიტობისა და ერთიანობის სტრუქტურას პაირქვევებს კავშირში არსებოლი დამსჯელი მანქანის საქმიანობა, ამ მან-ქანაში თავმოყრილია სამი მილიონი დაგეშილი აკენტი, მა-შინ, როცა მეტის რესერტის პოლიციის რიცხვი ორმოცდა-ათათასს ეანდარმს არ აღმატებოდა.

განა სამარკვინო ბოძე ვასაკრავი არ არის ის რეეიში, რომლის საუკეთესო მოწყობილი დაწესებულება სახელ მწი-ფო დამსჯელი ორგანო? ორგანო, რომლის დანიშნულებაა პიროვნებების პროტესტების, მათი თავისუფლებისაკენ მის წრაფების და ეროვნული თავისთავადობის გამომეულავნების

ჩახშობა? ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის პოლიტიკური, უდრიკ და ქედუხრელთა მიმართ კვლავ რეინისებური წომების შემოღება—ყველაფერი ეს მეტყველებსიმაზე, რომ უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრულ კომპლექსის მატარებელ ადამიანის პიროვნებას არ სურს «ბრაზნისა» და «საბჭოთა ადამიანის» ეტიკეტის ტარება.

ერთ ერთი ქართველი ნიჭიერი კრიტიკისი, შეპარვით, მხატვერულ ფორმებში, საბჭოთა იმპერიის და მისი ხელმძღვანელობის შემდეგ დახასიათებას იძლევა: «სამყაროს ეგრეთწოდებული მხატვერულ—ესთორიკური ათეიისება მოითხოვს ადამიანთა ფრთაშეუქცევი ფანტაზიის დაუსრულებელ ინდივიდუალურ სხვადასხვაობას, ქვეყნების ხილვის უხაზღვრო ნაირტერობას, მაგრამ არიან ხელყეტიანნი, რომელნიც ელტევიან ხილვათა და ფანტაზიათა ერთსახეობამდე დაყვანას. მე არ მხიბლავს ზღვა, არ მხიბლავს, რადგან იქპიროვნული წარხოცილია, გულისგამყინვავი ერთფეროვნება არის გამეფებული, ჩაუნთქავს მწევნიერი მდინარეები, ნაკადულები და მათი სახსენებელიც კი მოუსპია. ტორტმანობს, ბორგავს, ბობოქრობს უზარმაზარი, ულმობელი დიდმცრო, ბელიცა ყველაფრის გაუპიროვნებასა და გაუსახურებასა ცილიობს. ტყე კი ნამდვილად მხიბლავს. იგი საესეა ერთ მანეთისგან განსხვავებული პიროვნებებით, სიცოცხლის მრავალსახეობით, უფალავი ფერებით. ერთი ხის ფოთლებიც კი არ იმეორებენ ერთმანეთს ზუსტად, თვითეულ მათგანს საკუთარი განუშეორებელი თავისებურების ბეჭედი აზის.» ეს მშვენიერი და დიოდებული შედარება მიმართულია საბჭოთა გაუგონარი ტირანისა და მისი ბეჭელი იდეოლოგის ყოვლად სამარცხინო პრაქტიკის წინააღმდეგ.

ადამიანისა და ერების სულიერი დამყრობა ძნელი გამოდგა. 50 წლის ჭაპან-წყვეტისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელებმა შეძლეს დიდი ინდუსტრიისა, სამხედრო ტექნიკის, დედამიწის თანამგზავრების და ოპერატორების უჯრედნა, ვინემ კომუნისტურ პრინციპებზე ადამიანის აღზრდა. ეკრ შეძლეს იმიტომ, რომ ამ აღზრდის მიზანს ადამიანში თავისუფლების ჩახშობა შეადგენდა, ე. ი. იმისი რაც ადამიანისთვის ყველაზე უფრო სანუკვარია და ძეირფასი.

ու թռորութիւն, առամիօնն տացուսպովլոցիս և անցելու թշքուն. մահուալուա, նոցչյը ծցը ընդունուեցու գաղցցիքարուա դա առա նաւո լու, հասաւ ու նութեացէ, մագրամ ու շուրջ անուա հցընուան զու ըյ ատասիլոցանու սութիւնն. համար? միուրում, ի՞րամ սակացնու- տա գամուպուլոցիքամ ցացանիցլա—սաւաց տացուսպովլոցիքա ար արուն, ոյ արւ սութիւնն, արւ ծցընուրոցիքա, արւ սոցցարուլու, արւ սումարուլուց դա սածուան անցարութիւն արւ առամիօնն.

առամիօնն սացան սպալոյք առամերուու-ս, սպալոյք ըսկո- նու թյիմնաս թյըցաւա սամքուտա եցլուսպովլոցիքա. թյըցաւա թա- թի անհուննեցու տացուսպովլոցիքա հաեւուանաս. մագրամ անհուննե- ցու տացուսպովլոցիքա հարուս դա առամիօնն անհուննեցու—անհուն- նեցու արա ուսց, հոգուրուց յս եցլուսպովլոցիքան սպարս, սամքուտա եցլուսպովլոցիքան հում յս ցանցեարուուցուցիքա—յս ոյնեցուա կարասիւրուց մտցու մետուուստցուն. ասց հում անալու առա- միօնն թյիմնու ցրա մահունու գամտացրու դա առամիօնն առա- միօնն գահին պայցըլա տցուու ոնճուցուալուրու դա ցիւրու- նուլու տցուուցուուտ. պյցրան գակցնան: ոյցա, հոմելուուցու- մանուսիւրու մուծցուրոցիքա սագուցցուա սպաց, ծովուրուա դա առամիօնն թյիմնու պյուրուցուուլու.

Ա. քալանջամիք.

## ՅԱԿՏՍՈՒՑ--ԸՆԵՐՈՒՇՈՒՑՈՒՑ

ԺԼՈՒԽՈՒՑ ԾԱ ՄՃԱԿՈՒՑԱԾ.

(Հացրկեցուցիքա. ո. «Պ.» № 14.)

հոգուր մռեցա հում հուսցուու տցեցրուցու հցըուլու- ցու, ծցընուանուուլ-գույրուանուուլ ցիւս ացրա դա ծուլթյ- ցուուր գոյէրանուու ցիւս գահա դաացցա? պյցըլասացան ցանուարցիքու- լուա ու անհու հում յս մռեցա, հագան հուսցուու դցմոյրա- նուուր դա սուցուալուսիւրու մուծուանա սպարուրու ոյու. յցոնո- միուրու ցանցուուարցիքունօն յմնուա ծցընուանուուլ յլասու սո- սաւսրուց. արւ մութատա յլասու ոյու հառցենուուտ գուու դա յլասուրամ թյեցնեմունու. ամուրում ասց առցուամ մուստուց մո- ւոցցեցուուրուտացուուուլոցիքա գամոյմերցն լունուն. յս ոյու անալո- նուունուու գահարուուցիքու մտացահու մոնցին. ոյու սեցա մոնցից- ծուու: ցիւ պյուր գրուցուումա մտացրուամ ցամոնինա, պյու Սյամու ծուու մուլթյուցիքու պրուացանդաստան ծիւմունա, պյու ցա- ծցու այցիւրյուսուու նոմեցու մուլցիք, հագան մումարուցն պար-

ტიკბი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. ჯარს ომის გაგრძელება აღარ სურდა, ყევლა შინისკენ იჩქაროდა, მიწის განაწილებაში უნდოდათ წილი დაედოთ. ტროებითი მთავრობა კი ომის გაგრძელების მომხრე იყო, იმ პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გერმანიამ მოხერხებულად ისარგებლა; ემიგრაციაში მყოფი, ომის გაგრძელების მოწინააღმდეგ ლენინი რუსეთში «დაპლომბილი გავრით» გამოგზავნა ფულით და იარაღით აღჭურებილი, რა თქმა უნდა ფრთხის დაშლის მიზნით.

გერმანიის მიზანი მიღწეულია: აღმოსავლეთში ომი დამთავრდა, ლენინი და მისი ბოლევიკური პარტია, ამიგრირდგან, ხეპრულად შეუდგენ ვითომცა სოციალისტურ რევოლუციის იდეების განხორციელებას და ხალხს თავშემოაზეის არა თავისუფლება და სოციალიზმი, როგორც ამას პირდებოდენ, არამედ ერთპარტიული ხისტემა, ერთპიროვნული ფიქტატურა, რომლისგან თავის დაწევეა დღემდის შეუძლებელი გარდა.

ლენინი ჯერ უცხოეთიდან აწარმოებდა ბრძოლას, შემ. დეგ რუსეთში დაბრუნებული ხელმძღვანელობს საიდუმლო შეთქმულებას, რომელიც მიზად ისახავდა დემოკრატიულ რეემის დამხობას. აარსებოს პირველ საბჭოთა სახელმწიფოს, ანგრევს მეორე ინტერნაციონალს და აკრწიწებს მესამე ინტერნაციონალს, დაუზოგველად თავს ესხმის დემოკრატულ სოციალიზმს და ლამობს მის მოსპობას.

ლენინის სიკვდილის შემდეგ (1923 წ.) მისს აქმდს ჯულაშვილი აგრძელებს და საფულველს უყრის ლენინიზმის იდეოლოგიას. მან ლენინიზმი მარქსს დაუკავშირა და აქეთან წარმოიშვა მარქს-ლენინიზმის მიმართულება, რაც აქეთან მოკიდებული, საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიათ სდება. მარქსიზმ-ლენინიზმი დოგმათ ჩამოყალიბებული, პოლიტიკური უარგონის საყოველთაო და საკალებებულო დებულებათა ქცეული. ყველამ ეს დოგმები უნდა იჩქმუნოს და მას დაეყრდნოს, მოწინააღმდეგო რწმენის და შეხედულების მატარებელის რეაქციონერად, კოტნრ. რევოლუციონერად არიან გამოცხადებულნი და მათ მოსპობით ემუქრებიან.

ლენინი ფიქტობდა, რომ ხალხის უმრავლესობა არას-ტროს, ნებაყოფლობით არ მიიღებდა სოციალისტურ რე-

ვოლუციას, ბოლშევეკურ პარტიის ბატონობას და ამიტომ იყო ძალადურად, ერთმარტიულ დიქტატურის მომხრე. მან ქარგად უწყიდა რომ ნებიერად, მონობის უდელში არენიშევებ-მებოდა. აი, აქედან დაეღო სათავე ლენინისმის პირველ ას-პექტს.

მეორე ასპექტი საბჭოთა ხახელმწიფოს შენებით იწყება-ველურმა, ბოლშევეკური სტილის, ოქტომბრის გადატ-რიიალებამ, ლენინი ამოატევტია და გახადა ახალი რუსეთის, საბჭოთა წყობილების, ნამდვილი შეუცილებელ შეთაურად. იგიც მტკიცე ხელით შეუდგა სრულიად არ ნახულ სახელმწიფოს შენებას, რომლისთვისაც უფრო შესატყვისი იქნებოდა გვეწოდებია ლენინისტური ეიდო სოციალისტური სახელმ-წიფო.

დაარსდა და ქვეყანას მოეფინა—მუშათა, გლეხთა და სალდათოა საბჭოები, რაც მალე გადაიქცა დეკორაციულ ფასადები: ბოლშევეკურმა პარტიამ პროლეტარიატის სახელით ხელისუფლება მიითვისა და ვითომც მუშათა მასების არჩევით და მათი მანდატით, საბჭოთა მთავრობა დაბეპიტ-რონა საწარმოო საშუალებათ, მიწას, საბაზოებს და სხვ. მთელი სიმდიდრე ხალხის და სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. რეალურად, ამ უწოდი ქონებას დაესაკუთრა, არა მუშები და გლეხები, არამედ პარტიის და სახელმწიფოს მრავალრიცხვანი ბიუროკრატია და მთელი ქვეყანა, ამიერიცან მათ ხელში ჩაეგრძა.

საბჭოთა წყობის სისტემიდან იმ თავითვე იყოვამორიც-ხული დემოკრატიული რეებით, მისი მრავალპარტიიანობა თავისუფალი არჩევნები და სხვა. მოქალაქის და «აღმიანის უფლების დეკლარაცია» ფეხქვეშ იქნა გათელილი.

ლენინის ტოტალიზ ური რეჟიმის სისტემა სტალინის მიერ განმტკიცებული, მემარცხენე ფაშიზმის ტოტალიტარიზმი—სტალინიზმად იქცა. სტალინიზმი, თავისთავად ლენინიზმიდან წარმოიშვა, საკუთარი პერსონის განვითარებით, პიროვნული კულტის აღიარებით. სტალინი, ძნელ პირობებში წამოწყებულმა ინდესტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ პიროვნულ დიქტატურისკენ გააქანა, პარტიის და პრო-ლეტარიატის სახელი მოხერხდებულად გამოიყენა და ოცდა-

ათი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ერცელ იმპერიას ბატონ-პატრიონიბდა.

ხშირად ლაპარაკობენ სახელმწიფოს. მის აერთიანებულ მთავრობაშე, პროლეტარიატის დიქტატურაშე, უკალასო საზოგადოებაშე, ხოლო მარქსი და ენგელსი «კომუნისტურ მანიფესტში» და სხვა მათ თეორიულ ნაშრომებში ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს დესპოტიზმი, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი, დროებითია, დიალექტურ განვითარების დასასრულია. რასაც უნდა მოყვეს უკალასო საზოგადოება, მაშასადამე, ამის ლორიკური დასკევნა უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს, როგორც იძულებით აპარატის გაქრობა, მისი საბოლაო მოსპობა. როგორც ვიცით, ბაკუნინი ყოველგვარ სახელმწიფოებრივო რგანოების დაუყონებლივ მოსპობას მოითხოვდა. ამას წინ დაუდგა ენგელი, რომელიც არ იჩიარებდა ახლავე სახელმწიფოს შოსპობის აზრს და იცავდა იმ იდეის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგ, სახელმწიფოს მმართველობის ფუნქციები თან და თან უნდა შესუსტებულიყო და შემდეგ მთლიანად გამჭრალიყო.

1917 წლის დასტურებულ მრომაში—სახელმწიფო და რევოლუცია ლენინი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა სახელმწიფოს გარდაქმნის საკითხს და მარქსისტულად გააშუქა. საბჭოთა წყობილების ცხოვრებაში, ამბობს ის, ეს მე სამე ასპექტია, რომლის მნიშვნელობა მარქსიზმ—ლენინიზმის იხტორიაში ესრედ დიდია.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს განვითარების ორი ძირითადი ფაზისის შორის განსხვავება: ახალი კომუნისტური საზოგადოება გაივლის პირველ მოსამხადებულ უმდაბლეს საფეხურს, და მეორე უმაღლეს საფეხურს; აქ იგულისხმება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა. პირველ გამოსტოცია, კომუნიზმი ჯერ კიდევ კაპიტალიზმის გადმონაწევება დამოკიდებული და მის დალ ატარებს. სახელმწიფოს აპარატები ჯერ კიდევ ძალაშია; წარმოების მკაცრი კონტროლის და პროდუქტიკების განაწილებისათვის, ზრომის ნაწილების ზრდის, მომხმარებელთა უსაჭიროეს საგნერის დაჭირებისთვის საჭიროა, ხშირად იძულებითი ხოშების მიღება. ასეთ ახალ დაწყებით საზოგადოებაში აუცილებელია მუშა ხელის წუსტად აღრიცხვა და შრომის სასტიკ დისკიპლინის

შემოლება, ის საზოგადოება, რომელიც უდიდეს ბიუროდ და უამრავ საწარმოებად გადაიქცევა, თუ ხანგძლივად არა ერთხანს მაინც საჭიროებს იძულებითი საშუალებათა გამოყენებას.

ლენინი, ამ პირველი ფაზისის ნაკლები ენთუზიასტია, შრომიდან მიღებული, ყოველგვარი ნაწარმი ჯერ კიდევ უნდა განაწილდეს, შრომის ნაყოფიერების და არა მოთხოვნილების მიხედვით. ეს ეტაპია, რომლიდანაც ერთ და იმავ დროს უნდა აღმოიფხვრას დევლი ექსპლუატაციის ნაშთები და მომზადეს უკეთესი მომავალი, რადგან უმაღლესი ფაზისი — კომუნიზმისაკენ, ის არის, რაც დაბალი საფეხურიდან უნდა განვითარდეს.

ამ უმაღლესი ფაზისის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ წარმოების გამაღებული ზრდით, უხვი ნაწარმის მიღებით, შრომის უზომო ნაყოფიერებით, აგრძელებული მშრომელი მასის ფსიქოლოგიური გარდაქმნით, საზოგადოებრივ საწყისებზე აღზრდით, კაპიტალიზმის მანკიფრ ჩეკეგებისგან განთავისუფლებით. ნაწარმოების მოთხოვნილების მიხედვით განაწილება და არა გამომუშავების წესით როგორც ეს წინად, სამზადის პირველ პერიოდში ხდებოდა. სახელმწიფოს იძულებითი ორგანოები თანდათან დამკარგავს თავის დანიშნულებას და მოისპობა. ბიუროკრატიული მმართველობა, რომელიც ამდენხანს წარმოებას კონტროლს უწევდა თავად ჰქონდა.

ასეთია მოკლედ ლენინის ამ წიგნების თანამისტური სქემა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმწიფო ეგზირებ შესწერლობას საფუძვლად დაედო. ახლა მაინც, ყველასთვის ნათელი უნდა იყვანს, თუ რა უფსკრული აშორებს ლენინის თეორიულ შეხედულებებს და საბჭოთა რეჟიმის სინამდვილეს. ბრმათათვისაც თვალსაჩინოა, რომ თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს დიდი მანძილითაა დაკავშირებული და როგორც რუსთაველი იტყვების: სიტყვა სხვა, საქედ სხვა, წუა უზის დიდი ზღვარი!

არც საბჭოთა კავშირს, არც მარშალ ტიტოს, არც მაოს ჩინეთს, არც კასტრიროს პრეტეზია არა აქვთ, რომ მათ ქვეყნებში კომუნიზმია განხორციელებული. ყველა ბორბიკობს და გარკვეულს კერაფერს ამბობენ. საბჭოთა კავშირში ნახევარ

საუკუნეშე მეტია, რომ სოციალიზმის აშენებენ, ხოლო შედეგი ჯერხნობით მჰლეა. ამაგანი მხოლოდ მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნაზეა საუბარი; ეს არის რაც მათ ამ ხნის განმავლობაში შესძლეს და რითაც კრემლის მეთაურობა გამუდმებით ტრაბაზობს და თავს იქნებს, ხალხს კი კელავ დაპირებით კვებავენ.

დასაწყისიდან კომუნიზმის მაღავ განხორციელების იმდები დიდი იყო, ახლა ეს ილუზიები უფრო მოდუნებულია, მისი დეკადანისის პერიოდი, უფრო მოახლოვებულია, თვალსაჩინოა, ეს განცხადებული სინამდვილეა, და მისი დაფარება ამათ ცდუნებაა.

ორიოდე სიტყვა იმპერიალიზმზე. მარქსის სიკედილის (1843 წ.) შემდეგ, სახელმწიფოთა კონკრეტური განვითარება მოითხოვდა ახალ ახალ კოლონიების შექნას, მათ წიალისეულ სიმღიდოებთა ექსპლოატაციას, აზიის, აფრიკის და ოკეანეთის ახალ შენებად განაწილებას. ამ ნიადაგზე ძლიერ სახელმწიფოთა დაუსრულებელი ქიშპობა სწარმოებდა, რაც ხშირად იმით თავდებოდა. ამ ფენომენს ლენინი, მხლოდ ისტორიულ მატერიალიზმის თვალთახედვით უდგებოდა და ის კაპიტალიზმის განვითარების შედეგად და მის საფუძვლად მიაჩნდა და მთელს აქედან გამომდინარე, მანკიფრებას მას აკისხებდა. უფრო ზუსტად, ის იმპერიალიზმს კაპიტალიზმის ზოგად ევროულის პასუხისმგებლად თვლიდა, მას მიაწერდა უაშრავ ცოდვების, მაგრამ მთლად ეერ უარყოფდა მის ქმნადობას ხალხთავეკონამიკის განვითარებაში, რასაც თვით მარქსი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და პროგრესის ფაქტორად სახავდა.

ლენინის თანახმად, 1914 წლის ომი, ყოველ მხრივ იყო იმპერიალისტური, დამყრობი, ცარცუაგლების და კოლონიების განაწილების ომი. ამის გამო იყო, რომ ლენინი პრო-ლეტარიატის ამოცანად სახავდა ამ იმპერიალისტურ მოის სამოქალაქო ომად გადაქცევას, მის გამოყენებას საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციის მოსახვენად. მან ეს თავისი განახრახი სავსებით განახორციელა. თუ ინტერნაციონალურ მასშტაბით არა, ყოველ შემთხვევაში, რუსთის ფარგლებში მაინც, და უნდა სიმართლე ითქვას, დიდის წარმატებით ვეასრულა, გერმანიის იმპერიალიზმის ხელშეწყობით და ფულადი დახმარებით.

ახლა კი 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ როცა დასავლეთ ეკროპაში მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის იმპედი გაცრუვდა, ლენინის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ, ეკროპიდან აზიაში გადაინაცვლა: «სოციალისტურ რევოლუციის ლონდონიდან—ვაშინგტონისკენ მიმავალი გზა, ამბობდა ის, ზანხაი—კალკუტაზე გაივლას»—ო. ამრიგად, ეკროპის ჩალების ეკაპიტალიზმის უდიდეს განთავისუფლებისა მოძრაობის დამარება საესებით დაფუძნებულია მის იმპერიალიზმის თეორიაზე. როგორც ვხედავთ, ლენინი, ამ სავითხშიც მარქს—ენგელს გრძელი მანძილით დაშორდა, მათი მსოფლიო რევოლუციის გვრ. გრაფია უკულმ შეატრიალა. თუ მრქს—ენგელსით, სოც. რევოლუცია ეკონომიურად უალრესად განვითარებულ კაპიტალის ტურქეცებიდან, უნდა დაწყებულიყო, ამიერიდან ეს შისია აზიის ეკონომიურად და კულტურულად ჩამოიჩინილ ხალხებშია უნდა იყიდებონ.

ჩეენ დაგვრჩნია, მესამე ინტერნაციონალზედაც ორიოდე უსტკათ, რადგან ის კომუნისტურ პარტიის განუყრელი ორგანიზაციაა და ლენინის უშუალო მონაწილეობით დაარსებული. მას ამით უნდოდა მეორე ინტერნაციონალი შეეცვალა და ამავრომ მას მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი ეწოდა.

როგორც ცნობილია, ლენინი მეორე ინტერნაციონალს დაუზოგველად ებრძოდა; ოპორტუნისტულად და მუშათა კლასის ინტერნესების მოლალატედ თვლიდა, მასზე შემავალ პარტიის ბურეუაზიის დამცველად აცხადებდა. განსაკუთრებით ის უყიფინებდა სოციალისტურ პარტიის ლიდერებს, რომ ისინი იმპერიალიზმის წინააღმდეგ საკმაო ენერგიით ეკრანზე პირობენ, პირიქით ყოველნაირად ხელს უწყობდენ ბურეუაზულ მთავრობებს და ეხმარებოდნენ მათი იმპერიალისტური გეგმების განხორციელებაში. სამაგიეროდ, აჩ ლურგებდენ პროლეტარიატის ბრძოლის სიმახვილეს, რადგან მათი აზრით, ცივილიზებული კაცობრიობა მსოდლით რევოლუციის შედეგად, ვითომეს, ანარქიაში ჩაიძირებოდა.

ლენინის გააფთრებულმა კრიტიკამ და ლემაგოგიამ ძალზე დააუძლურა, ისედაც ომის გამო დაქსაქსული და ურთისულ ბანაკებად გათიშული მეორე ინტერნაციონალი. რომ ინტერნაციონალს მუშათა კლასზე ძეველი გავლენა დაებრუ-

ნებია, ლენინს საჭიროდ მიაჩნდა მფორდე ინტერ-ლის ლი-დეკრეტს დაუყონებლივ კაეშირი გაეწყვიტათ წარსულ ოპორ-ტუნისტულ პოლიტიკასთან, დაეგმოთ ძევლი მოლვაშეობა, მიეღოთ მესამე ინტერნაციონალის თეზისები და დაქვემდე-ბარებოდნე მოსკოვის ცენტრს. ასეთნაირად შექმნილი ინ-ტერნაციონალი მართლაც იქნებოდა ლენინის მონუმენტ მორჩილი ორგანო.

მაგრამ მოსკოვის ასეთი განკარგულებანი სრულებით ვერ აქმაყოფილებდა საერთაშორისო სოციალიზმის ხელ-შძლვანელთა მისწრაფებებს, რადგან მესამე ინტერნაციონა-ლი საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის ბრძანი ხდე-ბოდა.

ამის შედეგად მსოფლიო სოციალიზმის რიგებში გან-სხეულება წარმოიშეა: საჭრანგებოში, ტურის კონფერენცია-ზე, 1920 წ. ლეონ ბლუმი არ მიემსრო მესამე ინტერნაციო-ნალს. მან უმჯობესად ჩათვალი შეენარჩუნებია პარტიის ძევლი წოდება და ორგანიზაცია, მხოლოდ ერთი ნაწილი კა-შენის მეთაურობით ლენინისაკენ გადიხარა და მესამე ინ-ტერნაციონალს შეუურთდა. აშილან დაიწყო სოციალიზმის ორნაირი გაგება: პირველი გაგებით, სოციალიზმი აღნიშნავ-და იმ ტენდენციას, რაც კლასიკურ დემოკრატიაში თავსდე-ბოდა და რასაც ნ. კორდანია საქართველოში დემოკრატიულ სოციალიზმს უწოდებდა, ან უფრო სწორად რომ ითქვას, ისინი ლებულობდნე მარქსის სოციალიზმს და არა ლენინის რუსულ ბოლშევიზმს, რასაც აშეარად მარქსიზმის უარყო-ფად თვლიდნენ. მეორეს გაგებით—კომინიზმი იმ ტენდენციის მატარებელი გახდა, რამაც შემდეგ მარქსიზმი—ლენინიზმის სახელწოდება მიიღო და მეაცირ ისტიციონით ერთად ერთ პარტიის ცენტრს მოსკოვს დაქვემდებარა.

ამგვარად ყველა ქვენის სოც-რი მოძრაობა ორ ბანკად გაიყო, მათ შორის იდეოლოგიური საკითხისგავებაში მტრუ-ლი დამოკიდებულება დამყარდა. ზოგიერთები იმეორენებ-დენ რომ ისინი ოდესშე მაინც მორიგებოდენ და საერთო მიზნისკენ—სოციალიზმისკენ ერთად გასწევდენ. კერძო-ბით ეს შერიგება არ ხერხდება სწორედ კომუნისტების წყა-ლობით. ხოლო თვით კომუნიზმი, როგორც მარქს—ლენი-ნიზმის მოძრაობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარ-

ტის ხელმძღვანელობით კარგა ხანია მძიმე კრიზისს და ცეკვებაობას განიცდის. უკეთ სტალინის ხანში, როცა მან ომში გამარჯვებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ეჭრობაში დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც სამხედრო სტრატეგია და კომუნიზმის იდეოლოგია სწორედ მაშინ, როცა ამას არ მოელოდა, პირველად მის აეტორიტეტს იუგოსლავის ტიტონმა ძირი გამოუთხარა და აღარ ცნობდა მის ხელმძღვანელობას და ბრძანებას. ეს იყო პირველი პერიოდი, რაც სტალინს დაუსჯერი გადაურჩა. შემდეგ აშას მოყვა, უფრო გვიან, კიდევ უფრო დიდი განხეთქილება. მათს კომუნისტურმა ჩინეთმაც უარყო კრემლის, სტალინის მემკვიდრეების ხელმძღვანელობა საერთაშორისო კომუნიზმის მოძრაობაში, და დაპირისპირება დღემდის გრძელდება. მას არეციზონიზმის «ეტიკეტი» მიაკრეს; ამგვარად მარქს-ლენინიზმის ორი შტო უკეთ განინდა, კომუნისტური რელიგია ორად გაიყო: ორთოდოქსულ ლენინიზმად (მოსკოვი) და მათინმად (პეტიონი). ორთავე თავისითავს მოძრაობის ცენტრად და ხელმძღვანელად თვლის. განხეთქილებამ უცხოეთის კომუნისტ. პარტიის შიც შესალწია, არსდება ცალკეული ორგანიზაციები, ჩდებიან შესაფერისი ბელადები, პატარ-პატარა დიქტატორები და როცა გარეშე დახმარებით მათ ხელისუფლება უვარდებათ, კომუნიზმის სახელით, ვითომც რევოლუციას ახდენენ, თითქოს ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვიან, სინამდვილეში, ანადგურებენ ყოველგვარ სულიერ და მატერიალურ ლირებულებებს და ყოველნაირ თივისუფლებას ჩანასახშივე სპობენ.

როგორია დღეს მარქსიზმის მდგომარეობა? პარადოქსალურად შეიძლება ითქვას, რომ იგი ყოველგან მოედო და ამავე დროს არსად არ არსებობს. რადგან ყოვლად შეუძლებელია იმის მტკიცება, თითქოს აფრიკის ნახევრად ველური ტომები და მოსკოვის კომუნისტური სინოდი ერთი და იგივე რელიგიის მიმდევარნი იყვნენ. ყველას თავისებური მარქსი პყავს და მის დოქტრინას თავისებურად უდგება. ალრევა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ არის ხალხი, რომელიც თავის თავს მარქსისტს უწოდებს მაშინ, როდესაც მათი ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილ ღაბა, მარქსის დოქტრინის მიხედვით, მათ ეკრძალება ამ მოძღვრებაზე

იფიქრობდა მათიქეების ეკონომიკის მოწყობის დროს მით იხელმძღვანელონ. ხოლო ამავე დროს არიან ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური განვითარების სტადია მონაცემის იძლევა მარქსისტულ მეთოდების შემთხვებათ, მაგრამ ამ ქვეყნების ხელმძღვანელი ამ სწავლას იმდენად უგულებელ ყოფენ, თითქოს იგი არც კი არსებოლიყოს.

მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია, შემდეგ ინგლისი, შემდეგ შვეციია. არც ერთი ამ ქვეყანათაგანი მარქსები არ ფიქრობს. კიდევ მეტი, შეერთებულ შტატებში სოციალისტური პარტიაც კი არ არსებობს და მუშათა კლასი მარტო სინდიკალიზმის მეშვეობით მშვენიერად იკავავს გზას და ერთონ დოკუმენტის განაწილებაში თანდათან მეტ ხელირით წონას დებულობს. უნდა ითქვას, რომ შეერ. შტატებში «მარქსისტებიც» არიან: ცალკეული განებივრებული ფილოსოფოს—იდეალისტ—ინტელიგენტები, რომელნიც ერთეულებს წარმოადგენ, ხოლო უფრო დიდი: რიცხვით შავკანიან მოსახლეობაში და ეგრე წოდებულ «ჰიპი». ებს შორის ვხდებით მარქსისტებს. რასაკეირველია ასეთ შემთხვევაში მარქსისტობა ყურით მოთხრეული მოტივი.

ზვერაზე საინტერესო მაგალითი რა თქმა უნდა გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიაა. ეს ძლიერი ორგანიზაცია თავიდანც მარქსისტული იყო და დღესაც, თეორიულად მარქსისტებად ითვლებიან, მაგრამ მათი პრაქტიკული მოქმედება ღიღათ არ განსხვავდება თუნდაც ინგლისის სოციალისტთა მოქმედებიდან, რომელნიც როგორც ცონბილია, მარქსისტები არ არიან.

აქ ცხადია, ყველა ქვეყნის მარქსიზმის ხასიათისა და წიუანის არა თუ გარჩევა, ჩამოთვლაც კი შეუძლებელია მხოლოდ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ყველა მიმართულების მიმღევარნი შეიძლება ორ მთავარ ჯგუფად გაყორთ: ისინი რომელნიც მხოლოდ ტრადიციულად არიან მარქსისტები და ცხოვრებაში ამ დოქტრინის გატარებას დაქინებით ერიდებიან და სხვები, რომელნიც კდილობენ მარქსისტობა ხაქმით დამტკიცონ.

კურიოზული ამ შემთხვევაში ის არის, რომ სწორედ ინდუსტრიალურად განვითარებულ ქვეყნებში ვხედავთ მიძინებულ მარქსიზმს, ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში ამ მოძლ-



